დინამოელები პოლონეთში

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიტყობინებოდით, პოლონეთში სტუმრად იყვნენ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, რომლებმაც ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ გუნდებთან.

დინამოელები პოლონეთში მიიწვიეს ფაშიზმისგან ამ ქვეყნის გათავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით. მანამდე აქ ზეიმში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეული კალათბურთელები, ხელბურთელები, მოჭიდავეები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები, შემდეგ რიგი ფეხბურთელებზე მიდგა.

ჩვენ ვთხოვეთ გუნდის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ს. კუტივაძეს მოკლედ ეამბო "ლელოს" მკითხველთათვის ამ მგზავრობის შესახებ.

– პირველი მატჩი, – თქვა კუტივაძემ, – გვქონდა კრაკოვში ადგილობრივ "ვის–ლასთან". ესაა ცნობილი გუნდი, ერთ–ერთი უძლიერესი კოლექტივი თავის ქვეყანაში, რომელშიც გამოდის ეროვნული ნაკრების რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის შიმანოვსკი, მუსიალი, კნეჩიკი, კაფკა... "ვისლა" ახლა 1 ადგილზეა პოლონეთის ჩემპიონატში.

მატჩს ცუდი ამინდი დაესწრო: გადაუღებლად წვიმდა, ციოდა. მიუხედავად ამისა, თამაში საინტერესოდ მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი გაზდამ და სუროვეცმა გამოიყენეს ჩვენი შეცდომები და 2 გოლი გაიტანეს. "დინამო" ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: გოგია, მუჯირი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი, მჭედლიშვილი (გ. მაჩაიძე), რეხვიაშვილი, გ. ნოდია, წერეთელი (ესებუა).

ჩვენს გუნდს ამ ტურნეში აკლდნენ ძოძუაშვილი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, რომლებიც სსრ კავშირის პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებ კოლექტივებში გაიწვიეს, აგრეთვე, ყიფიანი, რომელიც ოპერაციის შემდეგ ჯერ არ ჩამდგარა მწყობრში, და მეკარე გაგოშიძე. მას ახლახან მამა გარდაეცვალა.

მეორე თამაში გვქონდა კოშალინში, ადგილობრივ "გვარდიასთან", რომელიც 11 ლიგაში გამოდის, აქაც ძლიერ წვიმაში ვთამაშობლით. ეს გუნდი სიძლიერით შორს დგას "ვისლასგან" და შეგვეძლო დიდი უპიტარესობით მოგვეგო, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ ბევრი ხელსაყრელი მომენტი და დავჯერდით ესებუას მიერ 65–ე

წუთზე გატანილ ერთადერთ გოლს. ვითამაშეთ ასეთი შემადგენლობით: გოგია, გავაშელი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გ. მაჩაიძე (წერეთელი), ასათიანი, მჭედლიშვილი, ესებუა, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

პოლონელებმა ძალიან სტუმართმოყვარულად მიგვიღეს თავიანთ ზეიმზე, დაგვათვალიერებინეს ბევრი ღირსშესანიშნაობა. მატჩებს საკმაოდ ესწრებოდა მაყურებელი.

ც. ფცქიალაძე

”ლელო”, 3 ოქტომბერი, 1974 წ.